პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის ტბელ აბუსერიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩას და სახალხოს III ჩიხს მიენიჭოს ტბელ აბუსერიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე


X=487536 Y=4614908
1:5,000
ტბელ აბუსერიძის ქ.
X=487514 Y=4614157

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

20 / ნოემბერი / 2025 წ.

KA011726854667825

№ **263274**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრში დაცულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდების მინიჭების თაობაზე:

1) ქალაქ თბილისის მერიის 1992 წლის № 89 ბრძანება, რომლის თანახმად „ისნის რაიონში მდებარე მატროსოვის ქუჩას ეწოდა აბუსერიძე ტბელის სახელი";

2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის № 131 განკარგულება „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ტბელ აბუსერიძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტბელ აბუსერიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ", თანდართული რუკის თანახმად.

მონაცემების ხარისხის კონტროლის ფარგლებში, ასევე გადამოწმდა ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედიის („თბილისი, ქუჩები, გამზირები, მოედნები") ჩანაწერები, რომელშიც აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტთან დაკავშირებით მითითებულია:***„აბუსერისძე ტბელის*** *ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (ნავთლუღი), ქეთევან დედოფლის გამზირიდან სახალხო ქუჩის III ჩიხამდე. ადრე ძველი სასაფლაოს ქუჩა ერქვა, შემდეგ - ა.მატროსოვისა. 1992 წელს აბუსერისძე ტბელის სახელი ეწოდა. ქუჩას აქვს 2 გასასვლელი და 2 ჩიხი".*

აქედან გამომდინარე, სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ № 89 ბრძანებაში, № 131 განკარგულებასა და ენციკლოპედიაში მითითებული ინფორმაცია ქუჩისა (აბუსერიძე ტბელის ქუჩა) და შესახვევის (ტბელ აბუსერიძის I შესახვევი) სახელწოდებების თაობაზე ურთიერთშეუსაბამოა.

სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრირებისთვის, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03253506**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივი
მისამართი: , საქართველო, 0186, თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №4, +995 32 2 390180, +995 32 2 290505, services@archives.gov.ge

---

არქივის დირექტორს
მაკა კვარაცხელიას

ქალბატონო მაკა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის N06-03253244-03 საქმის განხილვა, რომლითაც ითხოვენ ინფორმაციას ტბელ აბუსერიძის ქუჩის თაობაზე.

აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ თბილისის მერიის 1992 წლის N89 ბრძანება.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის ცენტრალური არქივი, საქართველო, 0186, თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №4, +995 32 2 390180, +995 32 2 290505, services@archives.gov.ge .

18 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011914942710325

№ **14/52603**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
- სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია -
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

2025 წლის 16 დეკემბრის N03-03253506 მომართვის პასუხად გეგზავნებათ, ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 19 ივნისის N89 ბრძანება, თბილისის ქუჩებისთვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

არქივის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

სოფიო შარაშენიძე

ქალაქ თბილისის მერია

ბრძანება

19.06.92 № 89
(თარიღი)

ქ.თბილისის ქუჩებისათვის ვ.ჩერქეზიშვილის, აბუსერიძე-ტბელის, ო.თაქთაქიშვილის, ბ.ბურკიაშვილის, ს.წულაძის, გ.ორბელიანის, ა.ღოღობერიძის, ბ.პაიჭაძის, დ.სარაჯიშვილის, თ.ჟორდანიას, ნ.მარის, ი.აბაშიძის, ლ.შარაშიძის და ს.ცინცაძის სახელების მიკუთვნების შესახებ

ქ.თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოსა და კულტურის სამმართველოს წინადადებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩუღურეთის რაიონში მდებარე ბოგორიძის ქუჩას ეწოდოს ვასილ ჩერქეზიშვილის სახელი.

ისნის რაიონში მდებარე მატროსოვის ქუჩას ეწოდოს აბუსერიძე-ტბელის, კომკავშირის ქუჩას-სერგო წულაძის, ბოგდან-ხმელნიცკის ქუჩას-ნიკო მარის სახელი.

ვაკის რაიონში მდებარე რიგის ქუჩას ეწოდოს ოთარ თაქთაქიშვილის, მცხეთის ქუჩის შესახვევს-ბესიკ ბურკიაშვილის, ბარნოვის ქუჩის მონაკვეთს მრგვალი ბაღიდან ვაკის პარკამდე ირაკლი აბაშიძის სახელი.

მთაწმინდის რაიონში მდებარე პარალელურ ქუჩას ეწოდოს თეიდო ჟორდანიას სახელი, იაკობ ნიკოლაძის შესახვევს- ლუარსაბ შარაშიძის სახელი.

საბურთალოს რაიონში მდებარე ლუქსემბურგის ქუჩას ეწოდოს სულხან ცინცაძის სახელი.

ნაძალადევის რაიონში მდებარე ბაბუშკინის ქუჩას ეწოდოს ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის სახელი.

დიდუბის რაიონში მდებარე ორახელაშვილის ქუჩას ეწოდოს ბორის პაიჭაძის სახელი.

გლდანის ცენტრში არსებულ მონაკვეთს "გურამიშვილიდან" ქარხანა "ცენტროლიტამდე" ეწოდოს დავით სარაჯიშვილის სახელი.

2. გაუქმებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1959 წლის 4 ნოემბრის №653, 1956 წლის 18 ივლისის №1479, 1957 წლის 22 მაისის № 190, 1958 წლის 9 აპრილის №1205, 1938 წლის 7 დეკემბრის №69 1960 წლის 26 მარტის № 1057, 1954 წლის 20 იანვრის №46, 1941 წლის 1[illegible] თებერვლის № 4 დადგენილებები ბოგორიძის, მატროსოვის, რიგის, მცხეთის ქუჩის შესახვევის, კომკავშირის, ბაბუშკინის, პარალელური ქუჩის, ბოგდან-ხმელნიცკის, ბარნოვის, ნიკოლაძის ქუჩის შესახვევისა და ლუქსემბურგის სახელების მიკუთვნების შესახებ.

3. დაევალოთ ჩუღურეთის, ისნის, ვაკის, მთაწმინდის, ნაძალადევის, დიდუბისა და გლდანის რაიონების გამგეობებს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული ქუჩების მარკირებლების დამზადება.

4. ბრძანება დაეგზავნოთ ორგანიზაციებს თანდართული სიის მიხედვით და დაევალოთ, შეიტანონ სათანადო ცვლილებები დოკუმენტებში.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ ადმინისტრაციულ ინსპექციას, ჩოლურეთის, მთაწმინდის, ვაკის, ისნის, საბურთალოს, ნაძალადევის და დიღუბის რაიონების გამგეობებს.

ქ.თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ლითანიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032534998**
თარიღი: **15/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 20 ნოემბრის საქმე #06-03253244-03 დაკავშირებით, რომლითაც სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრირებისთვის მოთხოვნილია ისნის რაიონში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების "აბუსერიძე ტბელის" და "ტბელ აბუსერიძის I შესახვევის" სახელწოდებების დაზუსტება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01253503866**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 15.12.2025 წლის # 03-032534998 (15.12.2025წ. #14-01253493526-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი